# ხელშეკრულება სარეალიზაციო მომსახურების შესახებ №002

31 აგვისტო 2011 წელი

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია", ს/კ 204568208; თბილისი, იჭავჭავაძის გამზ. 34, ს/ს "ლიბერთი ბანკი", ბ/კ 220101480, ა/ა 36087442; წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით, შემდგომში **კომპანია** და

ინდივიდუალური მეწარმე, საიდენტიფიკაციო კოდი (ან პირადი №) 38001044344, თამარ ჭიღლაძის სახით, მის: საჩხერე, სოფ. ჩიხა, შემდგომში **საცალო რეალიზატორი**;

ცალ-ცალკე წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად – მხარეები,

**ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:**

**მუხლი1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. საცალო რეალიზატორი 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში სარეალიზაციო მომსახურებას უწევს კომპანიას, რისთვისაც იღებს რეალიზაციის საკომისიოს. (CPV კოდი: 66131000)

1.2. სარეალიზაციო მომსახურების ფარგლებში საცალო რეალიზატორი ვალდებულია:

1.2.1. განახორციელოს კომპანიის კუთვნილი ლატარიის ბილეთების (მათ შორის მომენტალური გათამაშების ლატარიის ბილეთების, "6/36 ლოტოს", "ტოტოს" ბილეთების და სხვა) (შემდგომში ბილეთები) რეალიზაცია მომხმარებლებზე;

1.2.2. ბილეთების სარეალიზაციო ადგილი მოაწყოს კომპანიის მიერ გადაცემული სარეკლამო მასალით;

1.2.3. მომხმარებლებს უსასყიდლოდ გადასცეს კომპანიის მიერ ამ მიზნით მიწოდებული სარეკლამო საქონელი;

1.2.4. გასცეს მომხმარებელზე მოგება მომენტალური გათამაშების ლატარიის ბილეთზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგება არ აღემატება 50 (ორმოცდაათი) ლარს;

1.2.5. ვიზუალურად შეამოწმოს მომენტალური გათამაშების ლატარიის მოგებახვედრილი ბილეთი, დარწმუნდეს, რომ დაზიანებას არ აქვს ადგილი, განახორციელოს ვალიდაცია (ანუ დადგენილი წესით შეამოწმოს, მოგებულია თუ არა ბილეთი) და გასცეს მოგება 1.2.4. მუხლის თანახმად;

1.2.6. ბილეთების რეალიზაცია განახორციელოს მხოლოდ კომპანიის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ტერმინალებითა და ბილეთების რეალიზაციისათვის აუცილებელი სხვა მოწყობილობებით;

1.2.7. რეალიზებული ბილეთების ღირებულება კომპანიას გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში და წესით;

1.2.8. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები შეასრულოს პირადად და არ გადასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მესამე პირს. ამასთან, დაუშვებელია დამხმარე პირთა ჩართვა, გარდა კვირა დღისა და დამხმარე პირის ჩართვის შემთხვევაშიც საცალო რეალიზატორი პირადად და სრულად აგებს პასუხს კომპანიის წინაშე მოყენებული ზიანისთვის. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს (შეწყვიტოს) წინამდებარე ხელშეკრულება.

**მუხლი 2. ბილეთების ღირებულების გადახდის ვადა და წესი**

2.1. კომპანია უფლებამოსილია, ბილეთების გადაცემის მეორე დღიდან ნებისმიერ დროს მოსთხოვოს საცალო რეალიზატორს მის მიერ რეალიზებული ბილეთების ღირებულების კომპანიისათვის გადახდა. საცალო რეალიზატორი ვალდებულია, გადაუხადოს კომპანიას რეალიზებული ბილეთების ღირებულება დაუყოვნებლივ, მოთხოვნისთანავე.

2.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ქართულ ლარში, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით (მათ შორის მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის საშუალებით). მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვისას გაითვალისწინება კომპანიისათვის გადასახდელი ბილეთების ღირებულება, საცალო რეალიზატორის საკომისიო და აუნაზღაურებელი რეალიზაციის საკომისიო და საცალო რეალიზატორის მიერ გაცემული მოგებები. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები, კომპანიის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის თანამშრომელი – სოკრატ მამულაშვილი, რომელიც აგრეთვე ახორციელებს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას.

**მუხლი 3. რეალიზაციის საკომისიო**

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანია საცალო რეალიზატორს, რეალიზატორის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაუხდის რეალიზაციის ნაღდადურს 360 (სამასსამოცი) ლარის ოდენობით.

3.2. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული საკომისიო მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3.3. რეალიზაციის საკომისიოს გადახდა ხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 2.2. მუხლში გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 4. ბილეთების სარეალიზაციოდ გადაცემა**

4.1 კომპანიის მიერ საცალო რეალიზატორისათვის მომენტალური გათამაშების ბილეთების სარეალიზაციოდ გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადებით და/ან შესაბამისი აქტით.

**მუხლი5. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით, მხარეები დასტურებენ, რომ, ერთის მხრივ, კომპანიამ მიაწოდა საცალო რეალიზატორს ბილეთების შენახვისათვის საჭირო ინფორმაცია, ხოლო, მეორეს მხრივ, საცალო რეალიზატორი იღებს ვალდებულებას პირნათლად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

5.2. მხარეები აცხადებენ და დასტურებენ, რომ დარეგისტრირებულნი არიან შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის პირებად, აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას და წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით არ არღვევენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

5.3. საცალო რეალიზატორი ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები: ა) ბილეთები გადაეცემა მომხმარებელს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გადაიხადა შესაბამისი ბილეთის სრული ღირებულება; ბ) აკრძალულია 18 წელს მიუღწეველ პირებზე ბილეთების გაყიდვა და/ან განაღდება; გ) აკრძალულია ბილეთების შეძენის მიზნით საცალო რეალიზატორის მიერ მომხმარებლისათვის სესხის გაცემა; დ) გაყალბებული ბილეთის აღმოჩენის, ან ეჭვის გაჩენის შემთხვევაში საცალო რეალიზატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ კომპანიას და პოლიციას.

5.4. საცალო რეალიზატორის მიერ, 2.1. მუხლით დადგენილი გადახდის ვადის დარღვევისას, კომპანიას უფლება აქვს მოსთხოვოს საცალო რეალიზატორს პირგასამტეხლის გადახდა. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით კომპანიას შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას. კომპანიის უფლება მიიღოს პირგასამტეხლო და საცალო რეალიზატორმა მიიღო კომპანიის წერილობითი მოთხოვნა ვალდებულება, გადაიხადოს იგი, წარმოიშობა ერთი საბანკო დღის ამოწურვის შემდეგ, რაც საცალო რეალიზატორმა ვალდებულების დარღვევის სრულ პერიოდს, კომპანიის თანხის გადახდის თაობაზე. ამასთან, პირგასამტეხლო ერიცხება საცალო რეალიზატორის მიერ ვალდებულების დარღვევის სრულ პერიოდს, კომპანიის სურვილის შესაბამისად.

**მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა.**

6.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

6.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა მიერ გაცვლილი ინფორმაცია ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, კონფიდენციალურია (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა). მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

**მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა**

მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება; ამისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის მსურველი მხარე ვალდებულია გააფრთხილოს ამის თაობაზე მეორე მხარე შეწყვეტამდე არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე.

**მუხლი 8. დავების გადაწყვეტა**

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მოსარჩელის სურვილისამებრ საქმეს განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი. არბიტრაჟს ირჩევს მოსარჩელე მხარე, ხოლო არბიტრების რაოდენობა და დავის განხილვის წესი განისაზღვრება „კერძო არბიტრაჟის შესახებ". არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

**მუხლი 9. ხელშეკრულების ვადა**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 10 ოქტომბრამდე.

**მუხლი 10. დასკვნითი დებულებები**

10.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები, ან ვალდებულებები მესამე პირს.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.3 კომპანია აცხადებს, რომ დროდადრო თავისი გადაწყვეტილებით უზრუნველყოფს საცალო რეალიზატორებისთვის სხვადასხვა სახის სამოტივაციო პროგრამის განხორციელებას. ყოველ კონკრეტულ სამოტივაციო პროგრამაში მონაწილეობის მიღება დამოკიდებული იქნება შესაბამისი სამოტივაციო პროგრამის შინაარსზე, ორგანიზების წესებზე და პირობებზე.

10.4 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წერილობითი ფორმით და დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულება, ავრეთვე მისი დანართები, წარმოადგენს ერთიან და განუყოფელ ხელშეკრულებას და სრულად გამოხატავს მხარეთა ნებას.

10.6 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომპანიას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – საცალო რეალიზატორს.

**მხარეთა ხელმოწერები**

კომპანია _____

საცალო რეალიზატორი _____